



სპორტული კომპლექსის და გზის რეაბილიტაცია სოფელ მატანში

(ახმეტის მუნიციპალიტეტი)

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და
გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების
მეორე პროექტი

თბილისი, საქართველო

ნოემბერი, 2016

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტი მოიცავს სპორტული კომპლექსისა და ადგილობრივი გზის რეაბილიტაციას (მთლიანი სიგრძე 1,125 მ) კახეთის რეგიონის, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში. სამშენებლო მოედანი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოში, ზღვის დონიდან 570 მეტრზე მდინარე მატანის ხევის განაპირას. მატანში მისვლა შესაძლებელია თბილისი-თელავი-ახმეტა ავტომაგისტრალიდან, ხოლო მანძილი თბილისიდან აღნიშნულ სოფლამდე არის 125 კმ.

სპორტული კომპლექსი, რომელიც ამჟამად ნაწილობრივ ფუნქციონირებს, მდებარეობს სოფელ მატანის ცენტრში. არსებული ორ სართულიანი შენობა (მთლიანი ფართობი 1190 მ²) ცუდ მდგომარეობაშია, არ არის კარ-ფანჯრები, იატაკის ფილები ამომძვრალია, კიბის საყრდენი ჩამონგრეულია და საჭიროებს შეკეთებას. შენობის სახურავი (რომელიც შეიცავს აზბესტს - 1190 მ²) აგრეთვე ცუდ მდგომარეობაშია. შენობა მთლიანად საჭიროებს რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციას და განახლებას.

ქვე-პროექტი ასევე მოიცავს არსებული დაზიანებული სახურავის დემონტაჟს, ძველი დაზიანებული ბათქაშის მოშორებას კედლებიდან, დაზიანებული ქვიშა-ცემენტის აღებას იატაკიდან; აგრეთვე - ახალი ნაწილების დამონტაჟებას, მათ შორის - კარ-ფანჯრების, კიბის უჯრედის მოწესრიგებას, სპორტული კომპლექსის ეზოს დაგეგმარებას, თუნუქის სახურავის დამონტაჟებას, მცირე ზომის სათამაშო მოედნის მოწყობას ხელოვნური ბალახის საფარით, აგრეთვე ტერიტორიის მთლიანად შემოღობვას.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს არა მხოლოდ მთლიანი შენობის რეაბილიტაციას, არამედ - მისი გამართული ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო კომპონენტის დამონტაჟებას, მათ შორის: ელექტრო ენერგიით მომარაგება, გათბობისა და ვენტილაციის სისტემა, წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემა (მოიცავს 2 ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობას, მოცულობით 6 მ³/დღეში) და სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა.

შენობის პირველ სართულზე შემდეგი იგეგმება შემდეგი ოთახების კეთილმოწყობა: სათავსო, ტრენერთა ოთახი, კალათბურთისა და ძალოსანმა დარბაზები, ელექტრო გამანაწილებელი ოთახი, სპორტული აღჭურვილობისა და ინვენტარის ოთახი, გასახდელი, ტანვარჯიშის ოთახი, საქვაბე ოთახი, საშხაპეები, საპირფარეშოები, ხელსაბანები, რომელიც ასევე ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

შენობის მეორე სართულზე პროექტი ითვალისწინებს 20 ადამიანზე გათვლილი საცხოვრებელი სივრცის მოწყობას, რომელიც აღჭურვილი იქნება საპირფარეშოებითა და საშხაპეებით, მიუდოსა და ტანვარჯიშის დარბაზით და შესაბამისი ინფრასტრუქტურით - შხაპი, გასახდელი, საპირფარეშო, დამატებითი სათავსოები, კალათბურთის ორმაგი სიმაღლის ოთახი.

დაზიანებული ბათქაში მოხსნილი იქნება შენობის ფასადიდან, მოხდება ქვიშა-ცემენტის

მოხატვა და შეიღებება წყალგამძლე ემულსიური საღებავით. შენობის გარშემო მის მთლიან პერიმეტრზე ბეტონის გალავანი აშენდება (1 მეტრი სიგანის) და დაიფარება.

სპორტ კომპლექსის ეზო, ე.წ. ატრიუმი, გაიწმინდება მცენარეული საფარისგან და მის ნაცვლად დაიგება კერამიკული ფილები. ეზოდან სანიაღვრე წყლის გატანის მიზნით, სადრენაჟო მილები დამონტაჟდება, რომელიც გაივლის შენობის საძირკველის სახურავზე და განიტვირთება არსებულ ბუნებრივ საკანალიზაციო მილში, ეზოს გარეთ.

ცენტრალური შესასვლელი მოპირკეთებული იქნება ბაზალტის ფილებით და გარე კიბე გადაიხურება. კიბეზე ასევე დამონტაჟდება ბაზალტის ფილებით მოპირკეთებული სპეციალური პანდუსი შშმ პირთათვის

სპორტული კომპლექსის ტერიტორია შემოღობილი იქნება მავთული ღობით (სიმაღლე 1,8 მ), რომელიც გაჭიმული იქნება მეტალის ბოძებზე. იგივე კონსტრუქცია (სიმაღლით - 3,6 მ) იქნება გამოყენებული ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის შემოსაღობად.

სპორტული კომპლექსის შენობა დაკავშირებული იქნება ცენტრალური მუნიციპალური წყალმომარაგების სისტემასთან.

საკანალიზაციო სისტემა დაუკავშირდება ეზოში არსებული საკანალიზაციო ქსელს, რომელიც, თავის მხრივ, განიტვირთება 2 გამწმენდ ნაგებობაში (მოცულობით 6 მ³/დღეში), რომელიც ასევე სპორტული კომპლექსის ეზოში მდებარეობს. გაწმენდილი წყალი კი გადავა სპორტულ კომპლექსთან ახლომდებარე ბუნებრივ კანალში. „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ახმეტს მუნიციპალიტეტს შორის არსებული ფინანსური საინვესტიციო შეთანხმების“ თანახმად, ახმეტის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელი იქნება წყალმომარაგებისა და გამწმენდი ნაგებობების ფუნქციონირებასა და შენახვაზე. შესაბამისი ტრენინგები მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის უზრუნველყოფილი იქნება კონტრაქტორის მიერ, რომელიც ასევე მოიცავს საოპერაციო სახელმძღვანელოსა და ტრენინგის პროგრამის მომზადებას (შემაჯამებელი ანგარიში).

გარდა ზემოხსენებულისა, შენობის პირველ სართულზე მოეწყობა საქვაბე (100 კვ/სთ), რომელიც იმუშავებს თხევად საწვავზე.

რაც შეეხება გზას, რომელთანაც მდებარეობს სპორტული კომპლექსი, გაივლის დასახლებას. გზა, რომლის სიგრძეა 1,125 მ და სიგანე - 4-5 მ, ექვემდებარება მთლიან რეაბილიტაციას. გზის სივიწროვის გამო, რომელიც ხშირ შემთხვევაში კვეთს კერძო საკუთრებას, ტროტუარების კეთილმოწყობა შეუძლებელია კერძო საკუთრების არა ნებაყოფლობით ჩამორთმევის გარეშე. აღნიშნული კი არ არის რეკომენდებული როგორც ფინანსური, ასევე სოციალური მიზნებიდან გამომდინარე. ქვე-პროექტი ასევე გულისხმობს გზის ერთ მხარეს ცემენტის სანიაღვრე სისტემის მოწყობას (სიგრძე 1136 მ). სანიაღვრე წყლის განტვირთვა მოხდება არსებულ ნაკადულში. უბედური შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით, გზის გასწვრივ სიჩქარის შემზღუდველი საგზაო ნიშნები დამონტაჟდება.

(A) ზემოქმედების იდენტიფიცირება

ექნება თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე. გარემოზე ზემოქმედებას ძირითადად ადგილი ექნება მშენებლობის ეტაპზე, რაც მოიცავს არსებული ძველი შენობის რეაბილიტაციას და რეკონსტრუქციას, წყლის მიწოდების, კანალიზაციის, ელექტრომომარაგების, ვენტილაციის, გათბობის სისტემების ინსტალაციას, სპორტკომპლექსის ეზოს კეთილმოწყობას, მისასვლელი გზის რეაბილიტაციას.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და დამახასიათებელი ურბანულ გარემოში მცირე/საშუალო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. შემდგომი ზეგავლენები დაკავშირებული იქნება სპორტკომპლექსის ფუნქციონირების შედეგად მყარი ნარჩენებისა და საკანალიზაციო წყლების წარმოქმნასთან. ქვე-პროექტი განხორციელების ადგილის გარემო არის მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული. შესაბამისად, ზეგავლენა არის გარდამავალი და უმნიშვნელო (ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, მოძრაობის დროებითი შეფერხება). ოპერირების ფაზი წარმოქმნილი მყარი ნარჩენების მართვა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რათა შემცირდეს ზეგავლენა გარემოზე. ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შედეგად, რაც მოიცავს სპორტკომპლექსის ეზოს კეთილმოწყობას, მინი სტადიონის მოწყობას, საკანალიზაციო სისტემისა და საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობას, წარმოიქმნება დაახლოებით 800 ტონა ნარჩენი (მოჭრილი მიწა).

შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	გრძელვადიან პერსპექტივაში ქვე-პროექტის სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი, ვინაიდან წახალისებს ადგილობრივი მოსახლეობის და სპორტსმენების მონაწილებას სპორტულ ღონისძიებებში, ხელს შეუწყობს საზოგადოებისათვის სპორტისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისაგან მიღებული სარგებლის გაზრდას და ჯანსაღი ცხოვრების სტილის დამკვიდრებას. დამატებით, გზის რეაბილიტაციას ექნება შემდეგი სარგებელი - საგზაო პირობების გაუმჯობესება და ეკონომიკურ და სოციალურ ადგილებთან (ბაზარი, სკოლები და სხვა საჯარო დაწესებულებები) წვდომის გაუმჯობესება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მტვრის წარმოქმნისა და გზაზე ტალახის შემცირება, საწვავის გამოყენებისა და ეზოების დატბორვის შემცირება; დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. გზის რეაბილიტაცია ბენეფიციარ თემს დაუზოგავს მგზავრობასთან დაკავშირებულ დროსა და თანხებს. ლიმიტირებული და დროებითი დადებითი ზეგავლენა დაკავშირებულია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებთან სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებში. უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და შეზღუდული მხოლოდ სამუშაოების განხორციელების ადგილით. უარყოფითი ზეგავლენა დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ ფაქტორებთან. მატანის სპორტსკოლა არის ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრება. მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება. ამჟამად სპორტკომპლექსში ძიუდოში და ჭიდაობაში ვარჯიშობს დაახლოებით 80-100 ადამიანი. სპორტკომპლექსში მუშაობს 5 ადამიანი, რომელთათვისაც ხელფასის გადახდა ხდება ახმეტის მუნიციპალიტეტის ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლის ბიუჯეტიდან.
---	--

	ქვე-პროექტის განხორციელების დროს, სპორტული აქტივობები გაგრძელდება ახმეტის სპორტულ დარბაზში. შესაბამისად, ქვე-პროექტის განხორციელებას არ ექნება უარყოფითი ნეგატიური სოციალური ზეგავლენა, ვინაიდან, ხელს არ შეუშლის სპორტული ჯგუფების მუშაობას და არ მოხდება მწვრთნელებისა და სხვა პერსონალის შემოსავლების შემცირება (იხილეთ თანდართული წერილი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან). ქვე-პროექტის ფარგლებში მოხდება სპორტ კომპლექსის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.
--	---

(B) ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის მოცემული დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?	მნიშვნელოვანი ალტერნატიული ვარიანტები არ იქნა განხილული, ვინაიდან ქვე-პროექტი ითვალისწინებს სპორტ კომპლექსის არსებული ძველი შენობების რეაბილიტაციას. განხილული იქნა მხოლოდ საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ალტერნატივები. კერძოდ, ბეტონის ორმოს ან ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ალტერნატივები. პირველი ალტერნატივის შემთხვევაში საკანალიზაციო წყლების ჩადინება მოხდება ბეტონის ორმოში და მოხდება ლექის პერიოდული ამოტუმბვა და განთავსება ტერიტორიის გარეთ. მეორე ალტერნატივა ითვალისწინებს ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ინსტალაციას სპორტკომპლექსის ტერიტორიაზე. გაწმენდილი წყლების ჩადინება მოხდება არსებულ ბუნებრივ არხში, სპორტკომპლექსის მიმდებარედ. ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ანალიზის შედეგად უპირატესობა მიენიჭა მეორე ალტერნატივას.
---	---

ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით, მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით და სხვა ღონისძიებებით.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს შენობების რეაბილიტაციისა და მშენებლობის საშუალო და მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. მსგავსი პროექტების განხორციელებისას მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვე-პროექტის დიზაინი მოიცავს არა მხოლოდ არსებული შენობების რეაბილიტაციას და რეკონსტრუქციას, არამედ სპორტული მოედნების, მაყურებელთა სექტორების, სანიტარული კვანძების, საშხაპეების, გათბობის ვენტილაციის, გაგრილების და სახანძრო კონტროლის სისტემების მოწყობას. სპორტკომპლექსის ინფრასტრუქტურა იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიღებისათვის. დამატებით, ქვე-პროექტი ითვალისწინებს არა მხოლოდ გზის საფარის რეაბილიტაციას, არამედ სანიაღვრე არხების მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს გზის საფარის დაცვას დაზიანებისაგან.
ჩართული იყო თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ცოდნა?	ქვე-პროექტი მომზადებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოსთან კონსულტაციით და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე. ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ და მათი ინტერესები გათვალისწინებული იქნა ქვე-პროექტის მომზადებისას.

	მუნიციპალური განვითარების ფონდი და ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ჩაატარეს საკონსულტაციო შეხვედრა მოსახლეობასთან 2016 წლის 10 ნოემბერს.
--	---

(C) რანჟირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (საზოგადოებრივი ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლეული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			

სპორტკომპლექსის ტერიტორია რეგისტრირებულია როგორც მუნიციპალური საკუთრება. საკადასტრო ინფორმაცია თანდართულია.

გარემოს დაცვის მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
ქვე-პროექტის დასახელება	სპორტული კომპლექსისა და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია სოფელ მატანში
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	ქვე-პროექტი მოიცავს სპორტული კომპლექსისა და ადგილობრივი გზის რეაბილიტაციას (მთლიანი სიგრძე 1,125 მ) კახეთის რეგიონის, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში. სამშენებლო მოედანი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოში, ზღვის დონიდან 570 მეტრზე მდინარე მატანის ხევის განაპირას. მატანში მისვლა შესაძლებელია თბილისი-თელავი-ახმეტა ავტომაგისტრალიდან, ხოლო მანძილი თბილისიდან აღნიშნულ სოფლამდე არის 125 კმ. სპორტული კომპლექსი, რომელიც ამჟამად ნაწილობრივ ფუნქციონირებს, მდებარეობს სოფელ მატანის ცენტრში. არსებული ორ სართულიანი შენობა (მთლიანი ფართობი 1190 მ²) ცუდ მდგომარეობაშია, არ არის კარ-ფანჯრები, იატაკის ფილები ამომძვრალია, კიბის საყრდენი ჩამონგრეულია და საჭიროებს შეკეთებას. შენობის სახურავი (რომელიც შეიცავს აზბესტს - 1190 მ²) აგრეთვე ცუდ მდგომარეობაშია. შენობა მთლიანად საჭიროებს რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციას და განახლებას. ქვე-პროექტი ასევე მოიცავს არსებული დაზიანებული სახურავის დემონტაჟს, ძველი დაზიანებული ბათქაშის მოშორებას კედლებიდან, დაზიანებული ქვიშა-ცემენტის აღებას იატაკიდან; აგრეთვე - ახალი ნაწილების დამონტაჟებას, მათ შორის - კარ-ფანჯრების, კიბის უჯრედის მოწესრიგებას, სპორტული კომპლექსის ეზოს დაგეგმარებას, მოთუთიებული თუნუქის სახურავის დამონტაჟებას, მცირე ზომის სათამაშო მოედნის მოწყობას ხელოვნური ბალახის საფარით, აგრეთვე ტერიტორიის მთლიანად შემოღობვას.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს არა მხოლოდ მთლიანი შენობის რეაბილიტაციას, არამედ - მისი გამართული ფუნქციონერებისათვის ყველა საჭირო კომპონენტის დამონტაჟებას, მათ შორის: ელექტრო ენერგიით მომარაგება, გათბობისა და ვენტილაციის სისტემა, წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემა (მოიცავს 2 ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობას, მოცულობით 6 მ³/დღეში) და სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა.

შენობის პირველ სართულზე შემდეგი იგეგმება შემდეგი ოთახების კეთილმოწყობა: სათავსო, ტრენერთა ოთახი, კალათბურთისა და ძალოსანმა დარბაზები, ელექტრო გამანაწილებელი ოთახი, სპორტული აღჭურვილობისა და ინვენტარის ოთახი, გასახდელი, ტანვარჯიშის ოთახი, საქვაბე ოთახი, საშხაპეები, საპირფარეშოები, ხელსაბანები, რომელიც ასევე ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

შენობის მეორე სართულზე პროექტი ითვალისწინებს 20 ადამიანზე გათვლილი საცხოვრებელი სივრცის მოწყობას, რომელიც აღჭურვილი იქნება საპირფარეშოებითა და საშხაპეებით, ძიუდოსა და ტანვარჯიშის დარბაზით და შესაბამისი ინფრასტრუქტურით - შხაპი, გასახდელი, საპირფარეშო, დამატებითი სათავსოები, კალათბურთის ორმაგი სიმაღლის ოთახი.

დაზიანებული ბათქაში მოხსნილი იქნება შენობის ფასადიდან, მოხდება ქვიშა-ცემენტის მობათქაშება და შეიღებება წყალგამძლე ემულსიური საღებავით. შენობის გარშემო მის მთლიან პერიმეტრზე ბეტონის გალავანი აშენდება (1 მეტრი სიგანის) და დაიფარება.

სპორტ კომპლექსის ეზო, ე.წ ატრიუმი, გაიწმინდება მცენარეული საფარისგან და მის ნაცვლად დაიგება კერამიკული ფილები. ეზოდან სანიაღვრე წყლის გატანის მიზნით, სადრენაჟო მილები დამონტაჟდება, რომელიც გაივლის შენობის სამირკველის სახურავზე და განიტვირთება არსებულ ბუნებრივ საკანალიზაციო მილში, ეზოს გარეთ.

ცენტრალური შესასვლელი მოპირკეთებული იქნება ბაზალტის ფილებით და გარე კიბე გადაიხურება. კიბეზე

ასევე დამონტაჟდება ბაზალტის ფილებით მოპირკეთებული სპეციალური პანდუსი შშმ პირთათვის

სპორტული კომპლექსის ტერიტორია შემოღობილი იქნება მავთული ღობით (სიმაღლე 1,8 მ), რომელიც გაჭიმული იქნება მეტალის ბოძებზე. იგივე კონსტრუქცია (სიმაღლით - 3,6 მ) იქნება გამოყენებული ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის შემოსაღობად.

სპორტული კომპლექსის შენობა დაკავშირებული იქნება ცენტრალური მუნიციპალური წყალმომარაგების სისტემასთან.

საკანალიზაციო სისტემა დაუკავშირდება ეზოში არსებული საკანალიზაციო ქსელს, რომელიც, თავის მხრივ, განიტვირთება 2 გამწმენდ ნაგებობაში (მოცულობით 6 მ³/დღეში), რომელიც ასევე სპორტული კომპლექსის ეზოში მდებარეობს. გაწმენდილი წყალი კი გადავა სპორტულ კომპლექსთან ახლომდებარე ბუნებრივ კანალში. „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ახმეტს მუნიციპალიტეტს შორის არსებული ფინანსური საინვესტიციო შეთანხმების“ თანახმად, ახმეტის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელი იქნება წყალმომარაგებისა და გამწმენდი ნაგებობების ფუნქციონირებასა და შენახვაზე. შესაბამისი ტრენინგები მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის უზრუნველყოფილი იქნება კონტრაქტორის მიერ, რომელიც ასევე მოიცავს საოპერაციო სახელმძღვანელოსა და ტრენინგის პროგრამის მომზადებას (შემაჯამებელი ანგარიში).

გარდა ზემოხსენებულისა, შენობის პირველ სართულზე მოეწყობა საქვაბე (100 კვ/სთ), რომელიც იმუშავებს თხევად საწვავზე.

რაც შეეხება გზას, რომელთანაც მდებარეობს სპორტული კომპლექსი, გაივლის დასახლებას. გზა, რომლის სიგრძეა 1,125 მ და სიგანე - 4-5 მ, ექვემდებარება მთლიან რეაბილიტაციას. გზის სივიწროვის გამო, რომელიც ხშირ შემთხვევაში კვეთს კერძო საკუთრებას, ტროტუარების კეთილმოწყობა შეუძლებელია კერძო საკუთრების არა ნებაყოფლობით ჩამორთმევის გარეშე. აღნიშნული კი არ არის

	რეკომენდებული როგორც ფინანსური, ასევე სოციალური მიზნებიდან გამომდინარე. ქვე-პროექტი ასევე გულისხმობს გზის ერთ მხარეს ცემენტის სანიაღვრე სისტემის მოწყობას (სიგრძე 1136 მ). სანიაღვრე წყლის განტვირთვა მოხდება არსებულ ნაკადულში. უბედური შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით, გზის გასწვრივ სიჩქარის შემზღუდველი საგზაო ნიშნები დამონტაჟდება.		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: აჰმედ იაივეიდა, ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე: ქსიაოლან ვანგი	უსაფრთხოების სპეციალისტები: დარეჯან კაპანაძე, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი, დავით ჯიჯელავა, სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: საკონსულტაციო კომპანია ეპტისა	სამუშაოთა კონტრაქტორი: (განსასაზღვრავია)
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ახმეტის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ახმეტა, 7200, ჩოლოყაშვილის ქუჩა, #49 ტელ: 995 349 22 15 42 ელ-ფოსტა: axmeta_gamgeoba@yahoo.com ვებ-გვერდი: www.myakhmeta.ge		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	მატანის სპორტსკოლა არის ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრება. მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება.		
ფიზიკური და ბუნებრივი გარემო	სოფელი მატანი მდებარეობს მდინარე მატნისხევის ნაპირზე ახმეტის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 570 მეტრ სიმაღლეზე, ახმეტიდან 5 კმ-ის დაშორებით. მუნიციპალიტეტი		

	ესაზღვრება დუშეთის, თიანეთის, საგარეჯოს და თელავის მუნიციპალიტეტებს. ახმეტის მუნიციპალიტეტის ფართობია 2207,6 კვ.კმ, საიდანაც სასოფლო სამეურნეო მიწებს უკავია 80 266 ჰა, 91 200 ჰა დაფარულია ტყით. ადმინისტრაციული ერთეულის სამხრეთ ნაწილში, სადაც მდებარეობს სოფელი მატანი, კლიმატი არის ზომიერი, ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 770-820 მმ ფარგლებში. იანვრის საშუალო ტემპერატურაა (-) 3°C, ხოლო ივლისის - 22°C. სოფელ მატანი ბუნებრივი გარემო მრავალფეროვანია. სოფელი გაშენებულია თეთრიგორას კალთებზე. გარს აკრავს ტყე და ხეობები, სადაც გავრცელებულია წაბლი, მუხა, ფიჭვი. მუნიციპალიტეტის ჰიდროლოგიური ქსელი არის ხშირი, ძირითადად წარმოდგენილია მთის მდინარეებით. მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეებია პირიქითა ალაზანი და ალაზანი. სოფელ მატანის ჰიდროლოგიური ქსელი წარმოდგენილია შემდეგი მდინარეებით: ილტო, ალაზანი, კურანაძეული, მატნისხევი, რომელიც მოედინება სოფლის შუაში და გამოიყენება საირიგაციოდ. მდინარე ალაზანზე აშენებულია მცირე ჰიდროელექტრო სადგური, რომელიც სოფელ აწვდის ელექტროენერგიას. სოფლის მოსახლეობის რაოდენობა არის 5542 კაცი, მათშორის 709 მოსწავლე. სოფელში არის საბავშვო ბაღი (185 აღსაზრდელზე) და ორი საჯარო სკოლა (524 მოსწავლეზე). სოფლიდან დასავლეთით 3-4 კმ-ში მდებარეობს ცხრაკარის სამონასტრო კომპლექსი. სოფელში არის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ნანგრევები (XVI საუკუნე). სოფლის ახლოს არის ჩოლოყაშვილების სასახლის ნანგრევები და არქეოლოგიური ობიექტები. 2012 წელს სოფელში აღმოჩენილი იქნა ე.წ. დევების ნასადგომარი. უნდა აღინიშნოს, რომ ქვე-პროექტის განხორციელების სიახლოვეს არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და არქეოლოგიური ობიექტები.
--	--

	სპორტკომპლექსის გარშემო, რომლის რეაბილიტაციაც დაგეგმილია ქვე-პროექტის ფარგლებში, მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო მიწები, მიტოვებული შენობები და საცხოვრებელი სახლები. სპორტკომპლექსთან მისასვლელი გზა გადის დასახლებულ ტერიტორიაზე. დღეს მდგომარეობით, გზა არის ძლიერ დაზიანებული და ვერ უზრუნველყოფს ტრანსპორტის ნორმალურ მოძრაობას.
მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	წყლის მიწოდება მოხდება მუნიციპალური წყალსადენიდან. ქვიშა-ხრეშის უახლოესი კარიერი მდებარეობს 7-8 კმ-ში.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც B კატეგორიის პროექტი. ქვე-პროექტი მგფ-სათვის ოფიციალურად წარმოდგენილი იქნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ და წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროებას და პრიორიტეტს. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად: i. სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; ii. კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); iii. კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს, ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); iv. კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების მართვის ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად, ნაცვლად შეძენისა;

	v. მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ზედმეტი გრუნტის განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან; vi. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად, წლის განმავლობაში წარმოიქმნება 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან 120 კგ-ზე სახიფათო ნარჩენი, კომპანია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად ვალდებულია: დანიშნოს გარემოსდაცვითი მმართველი და მის შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს; მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინოს ნარჩენების ივენტარიზაციის ანგარიში; მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის (არსებობის შემთხვევაში), ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ბეტონის კვანძის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმების ასლები თანდართული იქნება გარემოს დაცვის მართვის გეგმაზე, კონტრაქტორის შერჩევის შემდეგ. დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.
საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	გარემოს დაცვის მართვის გეგმა განხილული იქნა ბენეფიციარ თემში 2016 წლის 10 ნოემბერს.
დანართები	
დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი და ფოტომასალა დანართი 2: საჯარო კონსულტაციის ოქმი (თანდართულია) დანართი 3: ხელშეკრულება და წერილობითი შეთანხმება სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე (იქნება თანდართული)	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
	A. შენობის რეაბილიტაცია	☒ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	☐ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	☒ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შეძენა ¹	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	☒ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	☒ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ACTIVITY	PARAMETER	MITIGATION MEASURES CHECKLIST
0. ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	(a) ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) გაცემულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.
A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად; (b) პნევმატური ბურღით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით; (c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე; (d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა; (e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; (f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით.
	ხმაური	(a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით; (b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან; (c) სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოძრაონ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით;

		(d) უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე; (e) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა-დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი; (f) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; გამოყენებული უნდა იქნეს მაყუჩები.
	წყლის ხარისხი	(a) კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწყოს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც დაცული უნდა იქნეს წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს წყალგაუმტარი მასალით. გატარებული უნდა იქნეს სედიმენტების კონტროლის ღონისძიებები, როგორიცაა თივის შეკვრებისა და/ ან სილის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში. (b) <u>სამუშაოების განხორციელება ახტალისწყლის ხევის მიმდებარედ:</u> კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ზეთების, გამხსნელებისა და საღებავების შესაბამის შენახვა და გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩაღვრა ხევში. ხიდის პარაპეტების შესაღებად არ უნდა იქნეს გამოყენებული პულვერიზატორი. პოტენციურად დამაბინძურებელი მასალები არ უნდა იქნეს დასაწყობებული მდინარიდან 50 მეტრში. არ უნდა მოხდეს მასალებისა და ნარჩენების ჩაყრა ახტალისწყლის ხევში. (c) მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე; (d) მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით. (e) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი). (f) არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში. (g) წყლის რეზერვუარისა და წყლის მილების დამონტაჟების შემდეგ უნდა მოხდეს სადეზინფექციო ხსნარის ნეიტრალიზება; თუ დეზინფექცია მოხდება ქლორის ხსნარით, მისი ნეიტრალიზება შეიძლება მოხდეს ნატრიუმის ბი-სულფატით. ამ ნივთიერების გამოყენებაც უნდა მოხდეს იმ დოზით, რაც საჭიროა ნეიტრალიზაციისათვის.

		ნეიტრალიზებული წყლის გადაღვრა გარემოში უნდა შეთანხმდეს კონტრაქტორის მიერ მუნიციპალიტეტის გამგეობასთან.
	ნარჩენების მართვა	(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები; (b) ინერტული სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინერტული სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო სხვა სახის ნარჩენები უნდა შეინახოს სპეციალურ კონტეინერებში; (c) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს შესაბამისად წინასწარ შეთანხმებულ ადგილას. (d) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება; (e) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).
	მასალების მიწოდება	a) გამოყენებული უნდა იქნეს ინერტული მასალის არსებული კარიერები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია; b) ინერტული მასალის ახალი კარიერის ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია; c) ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია; d) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში.
	მიწის სამუშაოები	a) ნიადაგის ზედა ფენა უნდა მოიჭრას სამუშაოების დაწყებამდე; b) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენახული უნდა იქნეს ისე, რომ შეუნარჩუნდეს ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლები, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვის ადგილი უნდა შეიღობოს და დაცული უნდა იქნეს ეროზიისაგან. c) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული უნდა იქნეს ლანდშაფტის აღდგენის სამუშაოებში; d) გამოუყენებელი ნიადაგი განაწილებული უნდა იქნეს შემოგარენში; e) ნიადაგის ზედა ფენა უნდა ინახებოდეს განცალკევებულად ქვედა ფენისაგან. მოხსნილი ნიადაგით უნდა მოხდეს ნაყოფიერი ფენის აღდგენა თავდაპირველ სიღრმემდე, რომელიც შეფასდება ვიზუალურად ნიადაგის ფენის მოხსნამდე. ნაყოფიერი ფენის აღდგენის სამუშაოები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ჯერ აღდგენილი იქნეს დასაწყობების ადგილიდან მოშორებით მდებარე ადგილები, რითაც აცილებული უნდა იქნეს ტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილ ნიადაგზე. ნიადაგის აღდგენის შემდგომ. უნდა

		იქნეს გაფხვიერებული, დაცული უნდა იქნეს მისი სტაბილურობა და ხელი შეეწყოს მცენარეული საფარის აღდგენას. f) არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოები უნდა შეწყდეს, აღნიშნული შესახებ ეცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს და სამუშაოები განახლდეს მხოლოდ წერილობითი ნებართვის მიღების შემდგომ.
E. ტოქსიკური მასალები	აზბესტის განკარგვა	(a) ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა; (b) აზბესტი სათანადოდ უნდა იქნას შენახული და დალუქული, მისი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად; (c) დემონტაჟამდე აზბესტის მასალა უნდა დასველდეს, რათა შემცირდეს აზბესტის მტკერი; (d) აზბესტის გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სპეციალური დამცავი აღჭურვილობით; (e) თუ აზბესტის მასალა ინახება დროებით, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იყოს დახურული და შესაბამისად აღნიშნული, უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად; (f) გატანილი აზბესტი არ უნდა იქნას ხელახლა გამოყენებული.
	ტოქსიკური/სახიფათო ნარჩენების განკარგვა	(a) ობიექტზე ყველა სახიფათო და ტოქსიკური მასალების დროებითი შენახვა უნდა განხორციელდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც შესაბამის ეტიკეტზე მითითებული იქნება დეტალური ინფორმაცია შემადგენლობის, თვისებებისა და შენახვის შესახებ (b) სახიფათო მასალების კონტეინერები უნდა მოთავსდეს ჰერმეტიკ კონტეინერებში, რათა აცილებული იქნას დაღვრა და გამოტუტება (c) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალურად ლიცენზირებული გადამტანებით და გატანილ იქნას ლიცენზირებულ ობიექტზე. (d) არ უნდა იქნას გამოყენებული ტოქსიკური ინგრედიენტებისა ან გამხსნელების ან ტყვიის შემცველი საღებავები.

H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით: ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ; ▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მისასვლელელები მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან, ოფისების შენობებთან.
---	---	--

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელ დეს მონიტორინგ ი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობი თ უნდა განხორციელდე ს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებე ლი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტებ ის შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია ტრანსპორტირების გზების გასწვრივ დასახლებულ პუნქტებში	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

					დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე; ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და აღნიშნულის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოჭრილია მიწის სამუშაოების დაწყებამდე; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობებულია	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	მიწის სამუშაოების პროცესში	სამშენებლო და მისი მდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება	მგფ მშენებლობის ზედამხედველ ი

	შესაბამისად; მოწყობილია დამცავი ბარიერები; ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოიყენება მიმდებარე ლანდშაფტის აღდგენისათვის					
ინერტული მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირებ ა	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
აზბესტის მართვა	ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი სათანადოდ უნდა იყოს დალუქული და გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა. აზბესტის გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სპეციალური დამცავი აღჭურვილობით. უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად. აზბესტის ნარჩენები საბოლოოდ განთავსებულია ოფიციალურ ნაგავსაყრელზე	სამშენებლო ობიექტზე	დოკუმენტაც იის და სამუშაოების ინსპექტირებ ა	სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში	ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. მუშების ჯანმრთელობის დასაცავად.	მგფ და სამუშაოთა ზედამხედველე ბი

ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სახიფათო მასალების შესაბამისი შენახვა	სახიფათო მასალების კონტეინერები მოთავსებულია არიან მეორად დამცავ რეზერვუარში და ინახება დახურულ კონტეინერში	სახიფათო მასალების შენახვის ადგილი	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის განმავლობაში	ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილო ბასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მშენებლობის დასრულება	მიწის დატკეპნილი ზედაპირები გაფხვიერებულია	სამშენებლო ტერიტორია და ბანაკი	ინსპექტირება	მშენებლობის დასრულების შემდგომ	სამშენებლო ტერიტორიისა და მისი	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	ტერიტორიიდან გატანილია ნარჩენები, ზედმეტი მასალები მოჭრილი და გატანილია საწვავით ან ზეთებით დაბინძურებული ნიადაგი და ტერიტორია მოწესრიგებულია				მიმდებარე ადგილების დაბინძურების თავიდან აცილება	
საოპერაციო ფაზა						
რეაბილიტირებული სპორტკომპლექსის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა	მყარი ნარჩენების შესაბამისი მართვა	მუნიციპალიტეტის ტერიტორია	ინსპექტირება	სპორტკომპლექსის ფუნქციონირების განმავლობაში	მყარი ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება	ახმეტის მუნიციპალიტეტი
შეკეთების სამუშაოების დროს მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	შეკეთების სამუშაოების დაგეგმვა ნაკლებად დატვირთულ დროს და შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენება	რეაბილიტირებული შენობების ადგილი	ინსპექტირება	სპორტკომპლექსის ფუნქციონირების განმავლობაში	ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების მინიმუმაცია	ახმეტის მუნიციპალიტეტი
წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო	წყლის სისტემაში არ ხდება წყლის გაჟონვა და სისტემა მუშაობს შეუფერხებლად	რეაბილიტირებული სისტემები	ინსპექტირება	სისტემების ოპერირების განმავლობაში	წყლის დანაკარგების შემცირება და წყლის	ახმეტის მუნიციპალიტეტი

სისტემების მომსახურება					დაგუბების აცილება ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების აცილება გაუმართავი საკანალიზაციო სისტემის გამო	
ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სიჩქარის შემამცირებელი ბარიერების მონტაჟი შესაბამის ადგილებში საგზაო ნიშნებისა და სავალი ნაწილის მონიშვნის გაუმჯობესება	გზის სრული სიგრძე	ინსპექტირებ ა	საჭიროებისამებ რ	ტრასპორტის მოდრაობის გაზრდილი სიჩქარის გამო ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების გაძლიერება	ახმეტის მუნიციპალიტ ეტი

დანართი 1: ქვე-პროექტის ადგილმდებარეობა, საკადასტრო ინფორმაცია და სურათები

		მარჯ (ჯანდაცობის) საკადასტრო კოდი: N 50.11.36.060	
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან			
განცხადების რეგისტრაცია N 882016159435 - 17/03/2016 11:18:42		მომზადების თარიღი 21/03/2016 10:23:49	
საკუთრების განყოფილება			
ზონა ამხეგრე	სექტორი მაგანი	კვარტალი	ნაკვეთი
50	11	36	060
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამესტრებული ფართობი: 5712.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 50.11.36.002 ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობი - 1864,68 კვ.მ.			
შესაკუთრის განყოფილება			
განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016016040 , თარიღი 14/01/2016 10:32:18 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/02/2016			
უფლების დამატარებელი ლოკუმენტი: • მომართვა N228 , დამოწმების თარიღი: 21/05/2012 , ამჟამის მუნიციპალიტეტის გამგეობა • წერილი N04/755 , დამოწმების თარიღი: 17/03/2016 , ამჟამის მუნიციპალიტეტის გამგეობა • წერილი N04/72 , დამოწმების თარიღი: 13/01/2016 , ამჟამის მუნიციპალიტეტის გამგეობა • ბრძანება N1-1/1119 , დამოწმების თარიღი: 10/05/2012 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			
შესაკუთრები: სსიპ თეთიმშარიველი თემი ამჟამის მუნიციპალიტეტი ID ნომერი: 224631165			
შესაკუთრე: სსიპ თეთიმშარიველი თემი ამჟამის მუნიციპალიტეტი			
იპოთეკა			
საგადასახადო გირაუნაობა: რეგისტრირებული არ არის			
ვალებულება			
ყვადლი/აკრძალვა: რეგისტრირებული არ არის			
მოვალეობა რეესტრი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, http://public.reestri.gov.ge			
გვერდი: 1(2)			




საკადასტრო კოდი: **50.11.36.060**
 განცხადების ნომერი: **882016159435**
 მომზადების თარიღი: **21/03/2016**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
 ფართობი: **5712 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N
 შაბდაბი 1:800

ნაკვეთის საკადასტრო სამღებრო

შენიშვნები

05/25

სამოპოზიციო ნაკვეთი


შენიშვნები

05/25

ტყის ფონი

ვალებულება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 88. ნაკოლიშვილი. მხედის ქ. 2; ტელ: (995 321 91 04 27; <http://nagr.gov.ge>



The road to be rehabilitated

Matani
მათანი


Akmea Batsara

Sport Complex to be rehabilitated









თანამდებობა	გვარ-გვარა	ფაჩი	თარიღი	არქიტექტურულ-საინჟინრო უბრა შპს „კანონი“		
დირექტორი	გვარ-გვარა	ფაჩი	თარიღი	ახსენი შეიქმნილია სოფელ ზაბაძის საინჟინრო რეკონსტრუქციის-რესტავრაციის პროექტის ნაწილად	ფაჩი	თარიღი
მთ. ინჟინერი	გვარ-გვარა	ფაჩი	თარიღი		შპს	არქ-2
პრ. ინჟინერი	გვარ-გვარა	ფაჩი	თარიღი		შპს	არქ-2
დამამუშავებელი	გვარ-გვარა	ფაჩი	თარიღი		შპს	არქ-2
სიტუაციური გეგმა 1:300				შპს კანონი		

რენდერები







ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი



საქართველო. აზმეტის მუნიციპალიტეტის
გ ა მ გ ე ო ბ ა



KA 990111098164716

№ 01/1683

06 / ივნისი / 2016 წ.

მუნიციპალური განვითარების ფონდის
დირექტორს ბატონო ჯუანშერ ზურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

აზმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის სპორტკომპლექსის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ შემდეგს:

- აზმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის სპორტკომპლექსში ამჟამად არსებობს მიუდოს ჭიდაობის სასაქეციო წრე, სადაც ვარჯიშობს 80-100 მოსწავლე. აღნიშნულ სპორტკომპლექსში დასაქმებულია ხუთი ადამიანი, რომელთა ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება ხდება ა.ა.ი.პ. „აზმეტის მუნიციპალიტეტის ზ. ზაზიდაურის სახელობის მიუდოს სკოლის“ ბიუჯეტიდან, რომელთაც სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას შეუწარმნდებდათ ყოველთვიური ხელფასი, რადგან სასაქეციო წრე ფუნქციონირებას განაგრძობს ქაზმეტის მიუდოს სპეციალიზირებულ დარბაზში.

- სოფელ მატნში ფუნქციონირებს სამი საბავშვო ბაღი 185 აღსაზრდელზე და ორი საჯარო სკოლა 524 მოსწავლეზე.

- სოფელში არსებობს ერთი სექციო აბმულატორია.

განვითარებულია ფერმერული მეურნეობები, ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის საწარმოები და კომერციული სტრუქტურები.

- სოფლის მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 5542 კაცს, საიდანაც სასწავლო დაწესებულებით სარგებლობს 709 მოსწავლე-აღსაზრდელი.

- საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ოფიციალური ნაგავსაყრელი მდებარეობს 10-15 კმ-ის რადიუსში.

- ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ მოიპოვება რაიმე სახის წიაღისეული, რაც შეეხება ინერტული მასალების ლიცენზირებული კარიერების საპროექტო ტერიტორიიდან დაპირებას იგი შეადგენს 7-მ კმ-ს.

- სოფელ მატნში არსებული სარწყავი არხები, სადაც უნდა მოხდეს საკანალიზაციო სისტემიდან ბიოლოგიურად გაწმენდილი წყლის ჩადინება არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და არ საჭიროებს მელიორაციის სამსახურთან შეთანხმებას.

პატივისცემით,

ვანო ნასყიდაშვილი

<https://srv2.edocument.ge/MRDI/filemanagement/pages/DocumentSourceFiles/ScannedD...> 16.06.2016

აზმეტის მუნიციპალიტეტი

Page 2 of 2

აზმეტის მუნიციპალიტეტის გამგელობის
მოვალეობის შემსრულებელი

საჯარო განხილვის ოქმი

10 ნოემბერი, 2016

სოფელი მატანი, ახმეტის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

მეორე რეგიონული და მუნიციპალური
ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (SRMIDP)

სოფელ მატანის (ახმეტის მუნიციპალიტეტი)
სპორტული კომპლექსისა და გზის რეაბილიტაცია

ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმისა და
სოციალური საკითხების

საჯარო განხილვა

2016 წლის 10 ნოემბერს, 16:00 საათზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის სპორტული კომპლექსის შენობაში (ყოფილი პროფესიული სასწავლებლის ტერიტორია) გაიმართა ქვე-პროექტის „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის სპორტული კომპლექსისა და გზის რეაბილიტაცია“ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმისა და სოციალური საკითხების საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები: გამგებლის პირველ მოადგილე - ვაჟა წასყიდაშვილი და გამგეობის წარმომადგენელი - დავით მამუკაშვილი;

ბიუდოს სპორტ სკოლის წარმომადგენლები: ვაჟა სუხოშვილი, ზვიადი მამუკელაშვილი, თამაზი შათირიშვილი,

სოფელ მატანის მაცხოვრებლები: მელქორე ბუქიაშვილი, კობა ჯანბეგაშვილი, სოსო გოდერძიშვილი, გიორგი წონიაშვილი, ზურაბ აბულაშვილი, გიორგი ექვთიმიშვილი, მამუკა მამუკელაშვილი, სოსო ხოხობაშვილი, ვისენტე, ხოხობაშვილი, შოთიკო მამუკელაშვილი;

პედაგოგები: გოჩა წონთაშვილი, ბესიკი ხოხობაშვილი;

უბნის ინსპექტორი - შალვა ბულაშვილი

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ანა რუხაძე - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

ქეთევან პაპაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი.

შეხვედრა გახსნა ანა რუხაძემ რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდისა და შეხვედრის მიზნების შესახებ.

ა. რუხაძემ, შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა ინფორმაცია მეორე რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ქვე-პროექტების შესახებ და დეტალურად ისაუბრა ქვე-პროექტის - სოფელ მატანის (ახმეტის მუნიციპალიტეტი) სპორტული კომპლექსისა და გზის რეაბილიტაცია, ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესახებ. ქ. პაპაშვილმა განიხილა ქვე-პროექტებისათვის მომზადებული გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა. შეხვედრის მონაწილეებს გააცნო მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი მოთხოვნები, განიხილა დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნა, რომ აღნიშნული ქვე-პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების წებართვას და სხვა სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ქვე-პროექტები განხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ა. რუხაძემ აღნიშნა, რომ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე, ისაუბრა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშების პროცედურებზე.

ქ. პაპაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შეხვედრის მონაწილეებს საშუალება მიეცათ გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
იქნება თუ არა კონტრაქტორის ვალდებულება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება?	შესყიდვების წესების თანახმად, ხელშეკრულებით ვერ განისაზღვრება კონტრაქტორის ვალდებულება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესახებ. თუმცა კონტრაქტორების მიერ უმეტეს შემთხვევაში ხდება ადგილობრივი მუშა-ხელის დაქირავება.
სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებულია თუ არა ეზოში არსებული გადაბურებული ხეების მოჭრა? და გათვალისწინებულია თუ არა ღობის რესტავრაცია?	პროექტით ხეების მოჭრა არ არის გათვალისწინებული. ეზოში შენარჩუნდება გაზონების წყობა, მოეწყობა მცირე სათამაშო მოედანი ხელოვნური ბალახის საფარით ასევე, სპორტული კომპლექსის მთლიანი ტერიტორია შემოიღობება.
რა პერიოდის განმავლობაში განხორციელდება სოფელ მატანში სპორტული კომპლექსისა და გზის რეაბილიტაცია? გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ თოვლიან ან ყინვების პერიოდში არ მოხდეს სამუშაოების განხორციელება.	პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არის 6 თვე. მაგრამ, ამინდის პირობებიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს სამუშაოების დროებით შეჩერება, რათა მათი შესრულება მოხდეს შესაბამისი ხარისხით.

გარემოსდაცვითი დოკუმენტების განხილვის შემდგომ, დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა მოწონება მიმდინარე პროექტის თაობაზე. დამატებითი შეკითხვები და კომენტარები არ ჰქონიათ.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცლის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის სპეციალისტის ქეთევან პაპაშვილის მიერ.

11 ნოემბერი, 2016

შეხვედრის მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი:

ახმეტის მუნიციპალიტეტი

სოფელ მატანის სპორტული კომპლექსისა და გზის რეაბილიტაცია - ქვე-პროექტის ზუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა

10 ნოემბერი 2016 წელი

შეხვედრაზე დასწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/მოქალაქე	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	სტომუვილა ვაჟა	ბიჭიშვილ სპორტ	557-71-66-30	ვ. სტომუვილა
2.	ვახაშვილი მამუკა	ვახაშვილი მამუკა	599 51 34 46	მ. ვახაშვილი
3.	ბერიძე ბექა	ბერიძე	577-71-66-37	ბ. ბერიძე
4.	ვახაშვილი ნინო	ნ. ვახაშვილი	551-52-27-46	ნ. ვახაშვილი
5.	გოგია ნინო	გოგია	5970121 63	ნ. გოგია
6.	გოგია ნინო	გოგია	59598 13 60	ნ. გოგია

7.	ბიზნესი	568-45-42-16	3.04
8.	ბიზნესი	599-10-14-72	8.04
9.	ბიზნესი	591 05 79 47	2.04
10.	ბიზნესი	574 12 89 05	2.04
11.	ბიზნესი	555 94 74 54	1.04
12.	ბიზნესი	598 39 16 13	2.04
13.	ბიზნესი	593 17 54 13	
14.	ბიზნესი		2.04
15.	ბიზნესი	558 45 54 54	0.04
16.	ბიზნესი		8.04
17.	ბიზნესი	551 98 77 98	2.04

ფოტომასალა:

